ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6897790

ნომერი: AR11015944

თარიღი : 14.02.2024

გაცემის თარიღი : 21.02.2024

გაცნობის თარიღი : 21.02.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცა ღოღობერიძის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 14 თებერვალს №AR11015944 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის №6561876 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის №6561876 ბრძანებით №01.14.12.003.130 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი III) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 14 ივლისიდან 2024 წლის 14 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 7 აგვისტოს №6602070 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის №6561876 ბრძანებაში და საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 3789.48 კვ.მ., საერთო ფართობად 16611.07 კვ.მ.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ ამჯერად მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის №6561876 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და შეთანხმებული ფასადების ჩანაცვლება წარმოდგენილი ფასადებით.
სამსახურმა შეთანხმებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ფასადები შეუსაბამოა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებთან, მაგ.: „ა“ კორპუსში +15.04 ნიშნულის გეგმაზე „a.E“ ღერძის გასწვრივ მდებარე ღიობების მოწყობა შეესაბამება არა წარმოდგენილ „aA-aE'“ ფასადს, არამედ შეთანხმებულს. ამასთან, წარმოდგენილ „cC-bA“ ფასადზე (+10.50 ნიშნულზე) „a.G“ და „b.D“ ღერძებში მდებარე ცხაურები შეთანხმებულ ამავე ნიშნულის გეგმაზე საერთოდ არ ფიქსირდება. აგრეთვე, წარმოდგენილ „b1-c16“ ფასადზე +0.00 ნიშნულის გეგმაზე „c.3-c.4” და „c.10-c.11” ღერძებში მდებარე ღიობები შეუსაბამოა შეთანხმებულ ამავე ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულთან და ა.შ. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს და საჭიროა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის №6561876 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.